# იარლიყები კლასში

მოსწავლეები ყოველდღიურად კითხულობენ სხვადასხვა საგანზე მიკრულ იარლიყებზე დაწერილ სიტყვებს და იმახსოვრებენ მათ ვიზუალურ ხატებს.

**კლასი:** I

**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური, მთელი კლასი.

**რესურსი:** დიდი ზომის სიტყვის ბარათები.

**მსვლელობა**

- **იარლიყების დამაგრება.** მასწავლებელი რამდენიმე საგანს მიაკრავს ბარათებს/ იარლიყებს ამავე საგნის სახელწოდებით. მაგალითად: დაფა, კარი, ფანჯარა და ა.შ.
- **იარლიყების წაკითხვა.** მოსწავლეები კითხულობენ იარლიყებზე დაწერილ სიტყვებს. ამ აქტივობას ყოველდღიურად ეთმობა გაკვეთილის მცირე დრო.
- **იარლიყების დამატება.** გარკვეული დროის შემდეგ (ყოველკვირეულად/სამ დღეში ერთხელ/სხვ.) მასწავლებელი ამატებს ახალ იარლიყებს.
- **იარლიყების გადანაცვლება.** პერიოდულად მასწავლებელი გადაანაცვლებს ბარათებს, მაგალითად, დაფის იარლიყს მიაკრავს კარს, ხოლო კარისას - ფანჯარას. თუ მოსწავლეები ვერ შენიშნავენ ცვლილებას, მასწავლებელი ცდილობს მიანიშნოს მათ, რომ რაღაც შეიცვალა. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები აღმოაჩენენ შეცდომას, არეულ იარლიყებს სწორ ადგილას ამაგრებენ.